ეროვნული

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990
ხუთშაბათი
31
მაისი
№64 (10301)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ. ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ.

## მთავარი საზრუნავი — ხარისხი

**ჩაი—90**

ძალზე ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მიმდინარე სეზონი. იკრიფება პირველი ტონება, კიდევ რამდენიმე დღე და ერთი-ორად გაიზრდება კრეფის ტემპი.

დღეს, როდესაც დიდი წესრიგში დადგა რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის საკითხი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეჩაიეობის დარგის განვითარებას. საერთაშორისო ბაზარზე პროდუქციის გასვლის შესაძლებლობა ხელს შეუწყობს უცხოური ვალუტის შემოსვლას და აქ უთუოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მწვანე ჩაის ხარისხს, მისი კონკურენტუნარიანობის გადიდებას.

მწვანე პლანტაციის მშრომელებს კარგად ესმით, რომ ხელით ნაკეთი იარაღის ხმარება საგრძნობლად უშლის ხელს ვეგეტაციის ქერადობას. ხარისხისათვის ზრუნვას წინ უსწრებს მოსამზადებელი სამუშაოები. აგროვადებში ჩატარდა ზამთარ-გაზაფხულის სამუშაოები, ყველა ბრიგადა და რგოლი გადავიდა შრომის იჯარულ ფორმაზე.

180 ჰექტარი პლანტაციიდან 1440 ტონა ნედლეულის დამზადება სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებს ჭითაწყარულ მშრომელებს. შვიდ ხელით საკრეფ და ერთ კომპლექსურ მექანიზებულ ბრიგადაში გატარებულია ხარისხიანი ნედლეულის მიღების ღონისძიებანი.

პირველი, რაც ხელშესახებია, გახლავთ აზოტოვანი სასუქების შეტანის დოზის საგრძნობი შემცირება. პირველი დოზა ჰექტარზე 1200 კილოგრამის ნაცვლად შეტანილია 900 ფიზიკური კილოგრამი. საჭიროება მოითხოვს ჩაის პლანტაციებში მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ნიადაგებში მინერალური სასუქების შეტანა.

მე, როგორც სპეციალისტს მიმაჩნია ამის ერთ-ერთი ფაქტორი ორგანული სასუქის შეტანასთან ერთად, არის გაზაფხულზე განასხლავი ფოთოლი დარჩეს პლანტაციაშივე. მართალია, ორგანული სახით მცენარე საკვებს არ ითვისებს, განასხლავი მისი მინერალიზაციის დროს ხშირდება, მაგრამ დროთა განმავლობაში ხდება მისი მინერალიზაცია და ითვისებს მცენარეც. ამ მეთოდით წელს 30 ჰექტარზე ვაწარმოებ ექსპერიმენტს, ამავე დროს იმავე ფართობზე შეტანილ იქნა ჩაის ფაბრიკების ანარჩენები 30 ტონამდე. შესაბამისად კი ამან საგრძნობლად შეამცირა მინერალური სასუქების შეტანის დოზები. იმისათვის რომ ჩაის ბუჩქს ზამთარში გააჩნდეს ბუნებრივი საფარი, საერთოდ არ უნდა იკრიფებოდეს ბოლო ვეგეტაცია. ეს და სხვა საკითხები, რაც ჩაის ბუჩქს გაუხანგრძლივებს ბიოლოგიურ სიცოცხლეს საჭიროა გახდეს ცალკე მსჯელობის საგანი.

კოლმეურნეობაში დღიური კრეფა აღემატება 10 ტონას. ნედლეული ბარდება ჩაის № 1 და ცაიშის ფაბრიკებს,

პირველი ვეგეტაციის ჩაის გადაკრეფა დაამთავრეს იმ ბრიგადის წევრებმა, რომელსაც მურთაზ დარასელია ხელმძღვანელობს. კიდევ ერთი კვირა და მთლიანად დამთავრდება პირველი ვეგეტაციის ჩაის გადაკრეფა.

მობილური მანქანებით მომუშავე ოთხი რგოლიდან, პირველი მოვიდა სამუშაოდ მექანიზატორი ალიკო აკობია. მექანიზირებულ კრეფას ექვემდებარება 48 ჰექტარზე გაშენებული პლანტაცია და აქედან 280 ტონის მიღებას ითვალისწინებენ მექანიზატორები.

ჯერ კიდევ პრობლემად რჩება სინჯის განმსაზღვრელი ლაბორატორიის შექმნა ადგილზე, რაც გამორიცხავდა ყოველგვარ უთანხმოებას დამამზადებელსა და მიმღებს შორის. წლების მანძილზე ვერავინ შექმნა ისეთი ტანსაცმელი, რომელიც მსუბუქი და თანაც წყალგაუმტარი იქნებოდა უამინდობის შემთხვევაში. კოლმეურნეობა ყოველწლიურად დიდძალ თანხას ხარჯავს წყალგაუმტარი ტანსაცმლის შესაძენად მაგრამ ამ დანიშნულებით მისი გამოყენება მოუხერხებელია და იგი ადგილს იკავებს საწყობებში.

ჩვენთან თითოეული მშრომელი საშუალოდ კილოგრამი ჩაის ნედლეულის დამზადებისათვის იღებს 45 კაპიკს.

კიდევ ერთი: გეგმის სტაბილურობაზე დიდადაა დამოკიდებული ჩაის ნედლეულის რაოდენობისა და ხარისხის ბედი.

შემოსავლიან ჩაის პლანტაციასთან ერთად გვერიცხება 25 ჰექტარი ახალგაზრდა პლანტაცია. აქედან მომავალი წლისათვის გარდამავალია 10 ჰექტარი. პლანტაციები მოვლილია, თუმცა დასამალი არ არის, რომ მის მოვლით სამუშაოებზე გაცემული ანაზღაურება საგრძნობლად დაბალია.

პრობლემებს რა გამოლევს მეჩაიეობის დარგში. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხარისხი მთავარი მოთხოვნაა.

**ლამარა კვარაცხელია,**
ჭითაწყარის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

## მომავალზე ზრუნვით

ბავშვი ქვეყნის მომავალია, სიცოცხლის ყვავილია. ბავშვზე, მის მომავალზე ზრუნვა დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა.

ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიექცეს როგორც ბავშვთა სტაციონარული, ასევე სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას, მათ აღჭურვას თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბავშვზე ზრუნვით აღინიშნება კალენდარული წლის ყოველი დღე, მაგრამ 1 ივნისი ამ მხრივ განსაკუთრებულია, რადგან იგი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. მთელი მსოფლიო აღნიშნავს ამ დღეს, როგორც ნორჩთაობის ბედზე ზრუნვას, მათი უღრუბლო მომავლის გარანტიას.

ეს დღე უნდა გახდეს საქართველოში მრავალშვილიან ოჯახთა დღესასწაულიც, რადგან მცირერიცხოვან ერს ბავშვთა სიმრავლე, აკვნების სიმრავლე გადაარჩენს.

დაე, უღრუბლო იყოს ჩვენი შვილების, შვილიშვილების მომავალი, თავისუფლების ქროლვაში გამრავლებულიყოს ქართული გენი!

## სადაგი შრომითი დღეები

მაისის თვეში კარგად და სტაბილურად იმუშავეს ენგურელმა მექაღალდეებმა. ეს განსაკუთრებით ითქმის გოფრირების და შეწებვის მუყაოს წარმოების განყოფილებათა კოლექტივებზე. საერთოდ კი აპრილის თვე კარგი მაჩვენებლებით გაიცილა საწარმოო გაერთიანება „საქაღალდემრეწველმა"—შეასრულა 861 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, მათ შორის საწერი ქაღალდის გეგმა 100 პროცენტით გაანაღდა. ზეგეგმით აგრეთვე აწარმოა 7 ტონა ჩაის ქაღალდი, 847 ტონა შეწებილი მუყაო, 4 ტონა მუყაო, 180 ათასი ცალი გოფრიყუთი, 888 ათასი ცალი სასკოლო რვეული და სხვა სახის ფართო მოხმარების საქონელი.

სადაგი შრომითი დღეები გრძელდება.

## მეცხოველეობა — 90
### წინა წელთან შედარებით

ჭითაწყარელმა მეცხოველეებმა 20 მაისისათვის გასულ წელთან შედარებით აწარმოეს 20 ტონით მეტი რძე. იანვარ-მაისში წარმოებულია 121 ტონა რძე. სახელმწიფოს ჩააბარეს შესაბამის პერიოდთან შედარებით ჩაბარდა 32 ტონით მეტი რძე.

ფერმაში გამოიზამთრა 880-მა სულმა საქონელმა, აქედან 100 ფურია. საშუალოდ ერთი ფურიდან წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოებულია 310 ლიტრით მეტი, საშუალოდ ფურიდან მიღებულია 1160 ლიტრი რძე.

დღეს საქონელს უხვად აქვს მწვანე საკვები. იღებენ შვრიას, მრავალწლიან ბალახებს. ბეჯითად შრომობენ საკვებმომპოვებლები (ბრიგადირი ანზორ სიჭინავა).

## სოფლის წინსვლისათვის

ყოველწლიურად იზრდება ჩაის, მარცვლეულის, რძის, ხორცის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება, მცირდება მათი თვითღირებულება ახალაბასთუმანში.

მეთორმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მეტ ორგანიზებულობას იჩენენ იჯარული წესით მომუშავე მეჩაიეები, მესიმინდეები. გეგმიურ 60 ჰექტარზე დამთავრდა სამარცვლე სიმინდის თესვა. სამუშაო კვლავ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. 18 ჰექტარზე უნდა დაითესოს სიმინდი სასილოსედ, 20 ჰექტარზე მწვანე საკვებად. 2,5 ჰექტარზე დარგულ იქნა კომბოსტო.

ყველა უბანზე იგრძნობა სიახლე, აღმავლობა. ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ გაუმჯობესებას. ფერმაში მექანიზებული წესით სრულდება საკვების დაქუცმაცება, ნაკელის გატანა თუ დარწყულება. პირუტყვი უზრუნველყოფილია ადგილობრივი წარმოების საკვებით, რაც რძისა და ხორცის თვითღირებულების შემცირების უტყუარ გარანტიას იძლევა.

მწველავები ნაზი და პოლიკარპე ქადარიები პირნათლად ასრულებენ მინდობილ საქმეს. ისინი 10-10 ფურს უვლიან. თითოეულიდან 1500 კილოგრამ რძეს პირდებიან კოლმეურნეობას. მოიჯარე მწველავები ავთანდილ და ბოჩია თოლორდავები და გელა თოდუა ყოველწლიურად ზრდიან რძის წარმოებას. ასეა მიმდინარე წელსაც. იანვრიდან დღემდე 38 ტონა რძე ჩაბარდა სახელმწიფოს, ეს კი 8 ტონით ჭარბობს გეგმიურ დავალებას.

კოლმეურნეობის მეჩაიეები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ სეზონს. პლანტაციებში დილიდან შებინდებამდე ისმის მკრეფავების ფუსფუსი. დღემდე მრეწველობას ჩაბარდა 18 ტონა [illegible].

სეზონის დაწყების პირველი დღეებიდანვე არ თმობენ პირველობას მეორე, მესამე და მეოთხე ბრიგადების წევრები, რომელთაც ბოჩო ქობალია, მიტია ღვამბერია და თენგიზ ხორავა ხელმძღვანელობენ. დღიურ ნორმას გადამეტებით ასრულებენ ხელით მკრეფავები თალიკო ქობალია, ვალენტინა თოდუა, გუგულა ფარცვანია, ნაირა ესართია და სხვები.

მალე პლანტაციაში გავა 7 მანქანა „საქართველო". მექანიზატორები ჯამბულ მუშუქია, გონელ ფვანია, მიტუშა ხორავა, კვირო შენგელია და სხვები 500 ტონა ნედლეულის დამზადებას ითვალისწინებენ.

მოიჯარენი წელს 1820 ტონა ჩაის ფოთლის დამზადებას [illegible] სამშობლოს.

მათი სურვილია კოლმეურნეობის ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებით ხელი შეუწყონ სოფლის წინსვლას, მის წარმატებას.

**ჭ. [illegible]ანძე.**

საკითხის დასმის წესით

# პრობლემა, რომელიც გადაწყვეტას ელის

**პრობლემა, რომელსაც საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი აბესალომ ტულუში აყენებს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ჩიტანავას სახელზე გაგზავნილ წერილში, ახალი არ გახლავთ. ოთხმოციან წლებში იგი არაერთგზის იქნა დასმული საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ რესპუბლიკის მთავრობის წინაშე. ზუგდიდის სოციალ - ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად ქალაქის ხელმძღვანელობას ამ ტერიტორიაზე გათვალისწინებული ჰქონდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის, ხასტუმროს, სპორტის სასახლის, პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანებისა და რედაქციის, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ -საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა.**

**არც მაშინ და არც დღეს არავინ არ ითხოვდა და არ ითხოვს ქალაქის ცენტრში მდებარე სამეცნიერო დაწესებულებამ შეწყვიტოს ფუნქციონირება. საჭიროა სამეცნიერო გამოკვლევები და დაკვირვებები გაგრძელდეს საამისოდ გამოყოფილ ერგების ტერიტორიაზე.**

**რედაქცია მიზანშეწონილად მიიჩნია ეს საკითხი კვლავ დადგეს დღის წესრიგში.**

**გვაინტერესებს სამეცნიერო დაწესებულების მუშაკთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა აზრიც.**

**ბატონო, ნოდარ!**

ქალაქ ზუგდიდში 1930 წლიდან არსებობს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის ფილიალი. სამეცნიერო დაწესებულება ნებისმიერი ქალაქისათვის საშური რამაა, მაგრამ ამ კვლევითი დაწესებულების ფილიალის არსებობა ჩვენს ქალაქში ნახევარი საუკუნის წინ, როცა ზუგდიდი დაბას უფრო წარმოადგენდა ვიდრე ქალაქს, თუ გამართლებული იყო, დღეს მისი ფუნქციონირება აქ გაუმართლებელია.

საქმე იმაშია რომ ამ სამეცნიერო დაწესებულებას ქალაქ ზუგდიდის შუაგულში (დიახ შუაგულში!) უკავია არც მეტი არც ნაკლები 27 ჰექტარი საცდელი ნაკვეთის სახით, რომელიც უმთავრესად ჩაის პლანტაციებს უჭირავს, ხოლო საკვლევ-საცდელი ნაკვეთების დიდი ნაწილი ბარდნარი უფროა, ვიდრე მკვლევართა მიერ ნასათუთევი და ოფლნაღვარი საცდე ნაკვეთი.

ამ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების საცდელი ნაკვეთის ქალაქ ზუგდიდიდან გატანის საკითხი კარგა ხანია დგას დღის წესრიგში, სწორედ ამ მიზნით გადაეცა ამ ფილიალს 300 ჰექტარი სოფელ ერგეტაში, მაგრამ ამაოდ, სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის ფილიალის ხელმძღვანელობას ჯიუტად არ სურს ქალაქის შუაგულის დატოვება, თუმცა თვით დაწესებულების გადატანას მათგან არავინ მოითხოვს, ერთადერთი, რასაც მოითხოვს ქალაქის საზოგადოებრიობა ესაა საცდელი ნაკვეთის მთლიანად გადაცემა ქალაქისათვის, რათა რაც შეიძლება სწრაფად გადაიჭრას ქალაქისათვის მწვავე საბინაო პრობლემა. საქმე იმაშია, რომ ზუგდიდში ბინების მშენებლობა კუს ნაბიჯებით მიდის წინ, სწორედ იმის გამო, რომ ქალაქს არ გააჩნია მათი ასაშენებელი მიწის ნაკვეთები. ახლა ბინების აღრიცხვაზე 1200 ოჯახი დგას, 1000-ზე მეტი, ბინების მიღებაზე იმედგადაწურული კი სამოსახლო მიწის ნაკვეთის გამოყოფას ითხოვს.

გარდა ამისა ასაშენებელია სახელმწიფო თეატრის ახალი შენობა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის შენობა, სპორტის სასახლე...

ყველა ეს პრობლემა ბევრად ადვილად და სწრაფად გადაიჭრება, თუკი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო (ეს მაინც რატომაა საკავშირო უფალმა უწყის!) სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის ფილიალის საცდელი ნაკვეთი 27 ჰექტარის ოდენობით მთლიანად გადაეცემა ზუგდიდის საქალაქო საბჭოს.

იმედია, რომ თქვენი, როგორც რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის უშუალო ჩარევა ამ საკითხს ბინების მომლოდინე ზუგდიდელთა სასარგებლოდ უახლოეს ხანებში გადაწყვეტს.

**აბესალომ ტულუში,**
საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი.

1990 — ცოდნის საერთაშორისო წელი

# იგეგმება მომავლის სკოლა

1990 წელი გამოცხადებულია ცოდნის საერთაშორისო წლად. მსოფლიოში ამჟამად მილიარდზე მეტი უწიგნური ადამიანი ცხოვრობს. ამ რიცხვში თითქოსდა ჩვენი ქვეყანა არ შედის, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. საერთაშორისო ცოდნის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. შატროვმა დაასახელა სსრკ-ში ერთი მილიონი უწიგნური. ეს ნიშნავს, რომ მილიონი საბჭოთა ადამიანი მოკლებულია რაიმე პერსპექტივას, მოწყვეტილია ცივილიზაციას. უწიგნურად, რა თქმა უნდა, შეიძლება არსებობა, მოწყენილი, მონოტონური ცხოვრება მაგრამ შეუძლებელია სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღო საზოგადოების, წარმოებისა და კულტურულ-ისტორიული განვითარების პროცესში.

საიდან მოგროვდა ჩვენს ქვეყანაში ეს მილიონი? უპირველესად შევსება მოდის არაკეთილსაიმედო ოჯახებიდან, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგენს გონებრივად და ფიზიკურად განუვითარებელ ბავშვებს. საზოგადოებას დათვური სამსახური გაუწია აგრეთვე სასკოლო პროცენტომანიობის ეპოქამ. პროცენტომანიობის „მსხვერპლებმა" შეავსეს უცოდინართა რიგები და აღმოჩნდნენ აქტიური ცხოვრების გარეთ.

ცოდნის საერთაშორისო ორგანიზაციის საბჭოთა კომიტეტის სხდომაზე სერიოზული ყურადღება დაეთმო ცოდნის ახალ კონცეფციას. საქმეც იმაშია, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რადიკალურმა ცვლილებებმა გამოავლინა პრინციპული მნიშვნელობის ნაკლოვანებები 20-30-იანი წლების განათლების სისტემაში.

ცოდნის ახალ კონცეფციას საფუძვლად უდევს ღრმა და მთლიანი ცოდნა, რომელიც უმუშავებს მოსწავლეებს ბუნებისა და საზოგადოების კონკრეტულ, რეალისტურ ხედვის უნარს. სრულფასოვნად განათლებული ადამიანი ვერ არ შეიძლება საბაზო ცოდნის გარეშე, რომელიც მოიცავს საკვანძო იდეებს ბუნებისმეტყველების, ჰუმანიტარულ და ტექნიკურ მეცნიერებებში. ახლა აუცილებელი მოთხოვნაა, რათა მეცნიერული პოტენციალი შეერწყას სულიერ-ზნეობრივს. აქ მთავარია, რომ ადამიანმა შეიცნოს თავისი ადგილი მრავალფეროვან და ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში, პატივი სცეს სხვა ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებას. თანამედროვე სკოლას არ ძალუძს ახალი კონცეფციის ცხოვრებაში გატარება. საჭიროა განათლების ახალი შინაარსი, ახალი მეთოდები და სწავლების ახალი საშუალებები. წარსულს ბარდება ცნობილი დებულება: სკოლის მთავარი ფიგურა მასწავლებელია. სკოლის ცენტრალური ფიგურა გახდა მოსწავლე, რომელთანაც ურთიერთობა უკავშირდება დიალოგითა და თანამშრომლობით.

ცოდნის ახალ კონცეფციაში იხაზება მომავლის სკოლის კონტურები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აღზრდის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერთგული მოქალაქეები.

**ა. ლურწკაია,**
უფროსი მასწავლებელი.

# მთავარია ზნეობრივი აღზრდა

მინდა შევეხო მეტად მტკივნეულ საკითხს, რომლის არად ჩაგდებას დაღუპვისაკენ მიჰყავს ახალგაზრდობა.

ზნეობრივი აღზრდის მთავარი ფაქტორია თვით ზნეობრივად ჩამოყალიბებული მშობელი. მშობელი, რომელიც თავის შვილს ზნეობის მაგალითს არ აძლევს, ის ზნემაღალ შვილს ვერ აღზრდის. ვინ განიცდის ასე მტკივნეულად კალაპოტიდან გამოვარდნილი ახალგაზრდების უზნეო მოქმედებას თუ არა სკოლა, მასწავლებლები?! საუბედუროდ, ისეთ სიტყვებს გაიგონებ კაცი მეათე-მეთერთმეტე კლასელებისაგან, რომ გაოცებული დარჩები. არავითარი ქცევის კულტურა მათ არ გააჩნიათ.

თავისთავად ცხადია, ასეთი ახალგაზრდა არ სწავლობს და არც აქვს ამის სურვილი. თუ ასე გაგრძელდა, როგორ გგონია, მივაღწევთ რაიმე კარგს, აღსრულდება ჩვენი სანუკვარი ოცნება?

თავისთავად ცხადია, რომ სკოლა ვალდებულია მეტი ღონისძიებები გაატაროს მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში. კლასის ხელმძღვანელების კავშირი მშობლებთან, ოჯახთან უნდა იყოს უფრო მტკიცე და ყოველდღიური. უნდა ჩავაგონოთ მშობლებს, რომ შვილისადმი ყურადღება კი არ შეასუსტონ, არამედ კიდევ უფრო გააძლიერონ.

იმედის მომცემია ბრძენი ილიას სიტყვები: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია". მაგრამ ვინ უნდა აშენოს ეს მომავალი თუ არა ახლანდელმა ახალგაზრდობამ? დავფიქრდეთ ამაზე დიდები. ბავშვებს ჯერ კიდევ არა აქვთ ამის განსჯის უნარი. დავფიქრდეთ და ყოველი ღონე ვიხმაროთ ზნეობრივი და ყოველმხრივი აღზრდის მაღალ საფეხურზე ასაყვანად, სანამ გვიან არ არის.

**თ. ლურწკაია,**
პედაგოგი.

გამოქვეყნებული წერილის კვალდაკვალ

# წერილი რედაქციას

24 მაისს გაზეთ „მებრძოლში" გამოქვეყნდა კრიტიკული კორესპონდენცია „მეცხოველეთა მუქ-ჩრდილები", სადაც გრიგოლიშელ მეცხოველეთა საქმიანობის გაშუქებისას დაშვებულია უზუსტობა. ჩვენი კოლმეურნეობა დაუმსახურებლად მოხსენიებულია იმათ რიგებში, ვინც რძის წარმოების დონე შეამცირა.

წერილში ნათქვამია, რომ გრიგოლიშელებმა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით დაუშვეს რძის წარმოების საერთო დონის შემცირება 85 ცენტნერით, საშუალოდ ერთი ფურის წველადობა 195 კილოგრამით.

ფაქტიურად ეს ასე არ გახლავთ. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მხრივ გრიგოლიში წელს უკეთ გამოიყურება, ვიდრე შარშან. ასეა ეს საზოგადოებრივი მეურნეობის წამყვან დარგში მეცხოველეობაშიც. 24 მაისისათვის კოლმეურნეობაში წარმოებული იყო 32.175 კილოგრამი რძე ანუ 45,7 ცენტნერით მეტი, ვიდრე შარშან ამ დროს. საშუალოდ ერთ ფურზე მიღებულია 171 კილოგრამით მეტი რძე. სახელმწიფოს მიეყიდა 29.340 კილოგრამი რძე ანუ 6730 კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან ამ დროს.

არის ყველა პირობა იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს რძისა და ხორცის წარმოების როგორც ნახევარი, ისე წლიური დავალება, ასევე გადამეტებით შევასრულოთ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმებსაც.

**ს. ლემონჯარია,**
გრიგოლიშის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე.

# ლექციები აქტუალურ საკითხებზე

საზოგადოება „ცოდნის" რესპუბლიკური გამგეობის ლექტორები ზუგდიდის ხშირი სტუმრები არიან. მათი საუბრის თემაა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა, ეროვნული და სხვა აქტუალური საკითხები.

ამასწინათ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვ. გულუამ კახათის კოლმეურნეობაში, ჩაის საწონ ფაბრიკაში, ინგირის ჩაის აგროკომბინატსა და რაიონულ საავადმყოფოში წაიკითხა ლექციები თემებზე: „ადამიანის თავისუფლება და ეროვნული საკითხი", „დემოკრატია და მეცნიერული მართვა", „მორალი და პოლიტიკა", „დემოკრატია, ანარქია და დესპოტიზმი".

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ბ. გამყრელიძემ ინგირის ჩაის აგროკომბინატში, კორცხელის კოლმეურნეობასა და ჩაის საწონ ფაბრიკაში წაიკითხა ლექციები თემებზე „კავკასიელი ხალხების ურთიერთობის აქტუალური საკითხები", „ქართულ-კავკასიური კულტურული ურთიერთობის საკითხები", „საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და განსახლების პროცესები".

ამ დღეებში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ე. ქვათაძე იყო რუხისა და რიყის კოლმეურნეობებში და რუხის საშუალო სკოლაში. მისი ლექციების თემა იყო „საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხები", „ადამიანის უნარის გააქტიურება და ერის წინსვლის საკითხები".

ლექციებს დიდძალი ხალხი დაესწრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალხო კონტროლის გვერდი №7 (180)

### სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტში

# დავძლიოთ ნაკლოვანებები

შემოწმებამ ცხადყო, რომ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში მრავალწლიან ნარგაობათა მოვლის საქმე დაბალ დონეზე დგას. სრულად არ ხდება შრომითი რესურსებისა და არსებული რეზერვების გამოყენება, რის გამოც მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა ჩაის, ტუნგის, თხილის, ციტრუსების პლანტაციებში გადაბარვა-გაფხვიერების ჩატარების საქმეში.

განარჯიის მუხურის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი შ. აჩხაბაძე) დაბალია შრომის დისციპლინა. შემოწმების დღეს, მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად ჩამორჩნენ მოვლითი სამუშაოების შესრულების საქმეში, ბრიგადებში მხოლოდ ოცი-ორმოცი კაცი მუშაობდა. ყოველივე ამის შედეგად მრავალწლიან ნარგავებში მოვლითი სამუშაოები ძალზე ნელი ტემპით ტარდებოდა. ნაგულისხმევია ამონაყრებისაგან გაწმენდა, ძირების შემობარვა-გაფხვიერება, ორგანული სასუქების შეტანა, სადრენაჟო ქსელის წესრიგში მოყვანა და სხვა. მოუვლელი აქვთ თუთის პლანტაციებიც.

ახალსოფლის ტუნგის მეურნეობაში (დირექტორი გ. ადაქიძე), ძირითადში დამთავრებული ჰქონდათ მრავალწლიან ნარგავებში მოვლითი სამუშაოების ჩატარება, მაგრამ ზოგიერთ ბრიგადაში გადაუბარავი აღმოჩნდა 6 ჰექტარამდე ჩაის პლანტაცია, მოვლა აკლიათ თუთისა და ბამბუკის პლანტაციებს, დაბალია შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

ოდიშის კოლმეურნეობაში (გამგეობის თავმჯდომარე მ. ლუტყაია), 17 აპრილისათვის გადაბარვის გარეშე დარჩენილი იყო ჩაის პლანტაციების ნაწილი, არ იყო შეტანილი აზოტოვანი სასუქები. მოუვლელია ტუნგის პლანტაციები. 32 ათასი ძირიდან შემობარვა-გაფხვიერება ჩატარებული იყო მხოლოდ 8 ათას ძირზე. ციტრუსის პლანტაციებში 67 ჰექტარიდან მოვლითი სამუშაოები ჩატარებული იყო 42 ჰექტარზე.

მრავალწლიან ნარგავებში აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების საქმეში არასახარბიელო მდგომარეობაა ურთის კოლმეურნეობაშიც (გამგეობის თავმჯდომარე ზ. დიდიშვილი), სადაც 22 აპრილისათვის ჩაის პლანტაციების 50 პროცენტი გადაბარვის გარეშე იყო დარჩენილი. არ იყო ამოწმენდილი დრენაჟები და წყალშემკრები არხები, არ იყო დამთავრებული მანდარინის პლანტაციებში ლენტისებური გადაბარვის სამუშაოები, შეწამვლა და სხვა.

ყულიშკარის კოლმეურნეობაში (გამგეობის თავმჯდომარე ნ. როგავა) ჩაის პლანტაციებში საგაზაფხულო სამუშაოები დამთავრებული არ იყო პირველ, მეხუთე და მერვე ბრიგადებში. მეხუთე, მერვე ბრიგადებში ნელი ტემპით მიმდინარეობდა ჩაის პლანტაციებიდან ნაბუჯარ-მძიმე განასხლავი ნარჩენების გატანა.

შემოწმებულ კოლმეურნეობებში მრავალწლიანი ნარგავების მოვლით საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე იმსჯელა სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა. მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება.

# ხარვეზებია სოცსაკუთრების დაცვის საქმეში

ოქტომბრის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა საკითხი: სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა,—აღინიშნა სხდომაზე, კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს საზოგადოებრივი ქონების დაცვის საქმეში გარკვეული სახის დარღვევებს.

მეცხოველეობის დარგის შემოწმებით გამოვლინდა რიგი დარღვევები. აპრილში მიღებული ხბო არ იყო აყვანილი შემოსავალში. საკონტროლო წველის ჩატარებისას, წინა დღესთან შედარებით 33 ლიტრით მეტი რძე იქნა ჩამოწველილი, რაც ძირითადში (ფერმის მუშაკების განმარტებით) გამოწვეულია მწვანე საკვების არარეგულარული მიცემით. ნაკლები ყურადღება ექცევა სანაშენე პირუტყვის გამოზრდის საქმეს, რომლის გამოწუნების შემთხვევაში არ დგება სათანადო აქტი.

შემოწმებით აქ ქურდობის ფაქტებიც გამოვლინდა. კოლმეურნეობის საწყობიდან მოიპარეს 1800 მანეთის ღირებულების საქონელი, ქურდის ვინაობა კი დღემდე დაუდგენელია.

აღნიშნულ და სხვა დარღვევებზე მკაცრად იმსჯელა სახალხო კონტროლის კომიტეტმა. მიღებულ იქნა სათანადო გადაწყვეტილება.

# დღის წესრიგშია —ეკოლოგია

ინგირის სასოფლო საბჭოს ერთიანი სახალხო კონტროლის კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი სოფელში არსებული ეკოლოგიური პირობების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

შემოწმებით დადგინდა, რომ სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულ დაწესებულებებში დაბალია სანიტარული დონე, რაც იწვევს მიმდებარე ტერიტორიების გაჭუჭყიანებას სხვადასხვა ნარჩენებით. გამონაჟონი საწვავ-საცხები მასალები მიედინება ღია გრუნტებით, ბინძურდება მოსახლეთა ჭები, ამას ემატება —„სოფლქიმიის“ ავტომანქანების რეცხვა ღია ცისქვეშ. ნარეცხი შხამ-ქიმიკატები ჩაედინება გრუნტით, რის გამოც ადგილი აქვს პირუტყვის დაცემასაც. ეს მდგომარეობა დღემდე გრძელდება, გამორიცხულია თავის დაზღვევა.

მიუხედავად გაწეული საკმაოდ სოლიდური ხარჯებისა, შემოწმებით დადგინდა, რომ წყალგამწმენდი ნაგებობა არ მუშაობს, სისტემატურად ნაგვიანდება რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია, რომლის გამკითხავი არავინ არის. არ აქვთ ნაგავსაყრელი ყუთები. იგი პირდაპირ იყრება ღია ცისქვეშ. ნაგავის გატანა ხდება არა პერიოდულად.

ეკოლოგიური თვალსაზრისით მიუღებელია სალებავების საამქროში (საშენმასალათა და სამეურნეო საქონლის საკოლმეურნეოთაშორისო კომბინატი) სალებავებისა და სხვადასხვა პროდუქციის დამზადება ტექნოლოგიის სრულყოფილად დაუცველად, რაზედაც რამდენიმეჯერ მიეთითა ხელმძღვანელობას.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ინგირის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე, მაგრამ შეიმჩნევა ზოგიერთ ქუჩებში მოსახლეობის მიერ ნაგვის გატანის შემთხვევები. ვერ იქნა და ვერ მოხერხდა სოფლისათვის ერთი სპეციალური ნაგავსაზიდი მანქანის გამოყოფა, არადა ეს აუცილებლობას წარმოადგენს. ქუჩებში სანიტარულ წესრიგისათვის ნაკლებად ზრუნავენ ქუჩის კომიტეტები. არასახარბიელო მდგომარეობაა საცხობის მიმდებარე ტერიტორიაზე.

სახალხო კონტროლის კომიტეტისა და სასოფლო საბჭოს აღმასკომის ერთობლივ გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

კონტროლის კომიტეტმა პერიოდულად უნდა შეამოწმოს სოფელში არსებული ჰიგიენური პირობების მდგომარეობა და კვლავაც იმსჯელოს იმ ობიექტთა ხელმძღვანელებზე, ვინც ვერ უზრუნველყოფს მხილებული ფაქტების სწორ რეაგირებას.

საჭიროა სოფელს გამოეყოს ნაგავსაზიდი მანქანა, რაზედაც უნდა იზრუნონ სათანადო ორგანოებმა.

### ეს სიახლეა

# ეძიებენ რეზერვებს

მოძრავ-მექანიზირებული კოლონა №16-ში (უფროსი ბ. კუკავა, მთავარი ინჟინერი ზ. ებანოიძე), ელექტროსანტექნიკურ სამუშაოებს ასრულებს მესტიის, წალენჯიხის, ზუგდიდის რაიონებში. ბოლო წლებში აქ საგრძნობლად შემცირდა სახელმწიფო დაკვეთით სამუშაოების მოცულობა, რამაც ზემოქმედება იქონია ეკონომიკაზე, გამოიწვია მუშახელისა და სპეციალისტების დენადობა. ამიტომ კოლონას უფლება მიეცა ორგანიზაციასთან პირდაპირი ხელშეკრულებით შეასრულონ ელექტრო და სანტექნიკური სამუშაოები.

კოლონა ითვალისწინებს რა სოფლების ელექტროფიცირების, ხაზების აღდგენის სამუშაოებს, საჭირო შეიქმნა ადგილობრივი რეზერვების ამოქმედება. ამ მიზნით ეთხოვა რაისაბჭოს აღმასკომს პოლიგონისათვის, სადაც ადგილზე ჩამოისხმება ელექტროძოძები, საკედლე ბლოკები, რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, თბოქსელისათვის ბეტონის ბალიშები, ჭის ხუფები და სხვა, საჭირო ფართის გამოყოფა.

პირდაპირი ხელშეკრულებით, რომელიც იდება სოფლის ხელმძღვანელებთან, წინასწარ ითხოვს დაფინანსებას, მაგრამ მთავარ პრობლემად დარჩა მასალების უზრუნველყოფის საკითხი, რომლის გადაწყვეტა სწორედ ამ პოლიგონებს დაეკისრება.

ამჟამად პირდაპირი ხელშეკრულებით მიმდინარეობს სოფელ ოქტომბრის კლუბ-კანტორის სანტექნიკური სამუშაოები, 13 კილომეტრზე ელექტროძოძების გამოცვლა, რესპუბლიკური საავადმყოფოს გათბობის სისტემის რეკონსტრუქცია, სკოლა-ინტერნატის გათბობის სამონტაჟო სამუშაოები და სხვა.

კოლონამ შეასრულა პირველი კვარტალის დავალება. არენდული წესით მეორე მოდელით შრომამ გამოიწვია გადიდებული საშტატო ერთეულის შემცირება, რამაც განაპირობა ნაკლები მუშახელით იგივე მოცულობის სამუშაოს შესრულება და გადიდებული ანაზღაურება.

სოფელს პირველ რიგში სჭირდება წყალი, გზა და სინათლე, აქედან წყალგაყვანილობის, სინათლის სამუშაოებს ასრულებენ კოლონელები, სიახლის დანერგვით მოიხსნება პრობლემათა დიდი ნაწილი.

ბ. ასათიანი.

# მდგომარეობის გამოსწორების მიზნით

სახალხო კონტროლის კომიტეტს თავის გეგმაში ყველა ის საკითხები აქვს გათვალისწინებული, რომლის აღმოფხვრა წინ წასწევს მეურნეობის ეკონომიკას მშრომელთა ყოფაცხოვრების დონის ამაღლებაში.

კომიტეტმა დროულად განიხილა საკითხი მრავალწლიან ნარგავებში აგროტექნიკით გათვალისწინებული საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობისა და მისი საიმედოდ დაცვის შესახებ.

აღინიშნა, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, რიგ ბრიგადებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა ჩაის პლანტაციებში საგაზაფხულო სამუშაოები. ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა მეორე, მესამე, მეოთხე, მეცხრე და და მეათე საწარმოო ბრიგადებში. შემოწმებამ ცხადყო, რომ №2 / საწარმოო ბრიგადაში (ხელმძღვანელი გ. სიჭინავა), ჩაის პლანტაციებში უხეშად იყო დარღვეული აგროწესები. კერძოდ გადაბარვა ჩატარებული იყო ზერელედ. ფართობების ნაწილში მასიურად გაუსხლავი იყო ჩაის ბუჩქის გვერდები.

№3 ბრიგადაში (ხელმძღვანელი შ. ხუფენია) მოვლითი სამუშაოები ჩატარებული იყო უხარისხოდ, მსგავსი მდგომარეობა იყო იმ ბრიგადებში, რომელთაც ნ. პერტია, ვ. ნანავა, ჯ. ჭედია ხელმძღვანელობენ.

კომიტეტმა მდგომარეობის უსწრაფესად გამოსწორების მიზნით საკითხი განსახილველად გადასცა მეურნეობის დირექციას.

ასევე, კონტროლის კომიტეტმა განიხილა საკითხი სეზონისათვის სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის მზადყოფნის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ მეურნეობის ავტოპარკში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გარკვეული ნაწილი არასწორი ექსპლოატაციის გამო გაუმართავ მდგომარეობაშია. ამასთან ტექნიკის ნაწილი ინახება წესების დაუცველად. მაგალითად სატიბი „კირ—1,5“ და „კოფ—2-1“ ინახებოდა მეცხოველეობის ფერმაში.

აღნიშნულ და სხვა საკითხებზე სახალხო კონტროლის კომიტეტთან ერთად იმსჯელა მეურნეობის დირექციამ, პასუხისმგებელ პირებს მიეცათ სათანადო დავალებები.

ზ. კალანდია,
დარჩელის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

# რატომ შეამცირეს ფოსტალიონის შტატი?

ჯერ კიდევ ომიანობის დროს სოფელ ერგეტას თავისი ფოსტალიონი ჰყავდა. ცხოვრება წინ წავიდა. ნაჭაობარმა ერგეტამ სახე იცვალა. განსაკუთრებით ბოლო ოთხი წლის მანძილზე ერგეტაში უფრო მეტი გაკეთდა, ვიდრე 70 წლის მანძილზე. აშენდა ტიპიური საშუალო სკოლა, ბაგა-ბაღი, დამთავრების პროცესშია კლუბ-კანტორისა და უნივერმაღის მშენებლობა. იზრდება და სახეს იცვლის სოფელი.

ამ ფერისცვალების დროს უფრო მეტად სჭირდება მოსახლეობას მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ერგეტელები დიდი ინტერესით მოველით ახალ ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ?... მაგრამ ფოსტალიონი აღარა გვყავს. დაინერგა „თვითმომსახურება“. კვირაში ორჯერ მივდივართ ფოსტაში, ვინ ვის ასწრებს და... რამდენიმე წუთში იგი ფოსტაში არ არის.

ფოსტას მხოლოდ გამგე ჰყავს. საინტერესოა როგორ გაიანგარიშეს სათანადო ორგანოებმა 360 კომლის მომსახურების საქმე ფოსტალიონის გარეშე. ხომ საოცრად ძნელია ერთი კაცისათვის გაზეთების, ამანათების, წერილების, დეპეშების, საპენსიო თანხის გადანაწილება?

ვითხოვთ ფოსტალიონს, რამე თუ იგი მეტად საჭირო პირია სოფელში. ბ. მამფორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოკითხვამდე... „მენგრელსკი კრაიდან“

დაბედავ და ერთი ჩვეულებრივი კონვერტია, პერმის „გოზნაკის“ ფაბრიკაში გამოშვებული, ქართველების გულის გასახარად თბილისის სასტუმრო „აჭარის“ ხედით დამშვენებული, საფოსტო შტამპ-მარკებით აჭრელებული. კონვერტი კია ჩვეულებრივი, მაგრამ იგი, ვინაც ზუგდიდის გაზეთ „მებრძოლის“ (ამჟამად „ოდიშის“) რედაქციაში წერილის გამოსაგზავნად იმგვარად გაუწყვიტავს, როგორი სახითაც მივიღეთ, არ უნდა იყოს ჩვეულებრივი პიროვნება. უფრო უკეთ, კონვერტზე გაკეთებული წარწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „პატივცემული ავტორი“ ქურში ყურებდაცობილი ზის, ანდა იმ „ჩვენს ძმათა“ რიგს განეკუთვნება, რომელთაც საქართველოს ერთიანი ეროვნული სხეულის „ქართლ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, გურიად“ დანაკუწება-გაყოფის წყურვილით ხახა აქვთ გამოქარული...

ვინ არის წერილის ავტორი, რა უნდა და რა „შეცდომა“ დაუშვა მან კონვერტზე მისამართის ჩვენებისას?

წერილის ავტორი გახლავთ ვინმე იაროსლავ ვალერის ძე გოლიაკი, თუმცა; რატომ ვინმე? იგი თავს გვაცნობს, როგორც „ფუტბოლნი სტატისტიკ“ (წერილი რუსულ შრიფტიან მანქანაზეა ნაწერი) და სურს რეგულარულად მივაწოდოთ, უფრო ზუსტად, „ჩავაბაროთ“ ეროვნულ ჩემპიონატში ზუგდიდის „ოდიშის“ მიერ შინ ჩატარებული მატჩების დაწვრილებითი ანგარიში. ბატონი გოლიაკი რატომღაც არ გვაცნობს თავის პროფესიას, არც სამუშაო ადგილს, რისთვის ან ვისთვის სჭირდება მას ეს „დაწვრილებითი სტატისტიკა“, რომლის გაგზავნასაც ჩვენგან მოითხოვს მისამართზე: „380002, ქ. თბილისი—2, ფოსტამტი, მოკითხვამდე“.

ახლა მთავარი „შეცდომა“.

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ცხოვრების წვრილმანებითაც კი დაინტერესებულმა იაროსლავ გოლიაკმა „არ იცის“, რომ ზუგდიდი საქართველოს ერთ-ერთი ქალაქია, „არ იცის“, რომ არ არსებობს „მენგრელსკი კრაი“ (სამეგრელოს მხარე). არადა, ამ დალოცვილ „სტატისტიკს“ სწორედ ასე უწერია კონვერტზე: „მენგრელსკი კრაი. გოროდ ზუგდიდი, რედაკცია რაიონნოი გაზეტი „მებრძოლი“!!!

სხვათაშორის, წერილი თბილისიდანაა გამოგზავნილი.

რა შეიძლება კიდევ ითქვას? ალბათ ის, რომ პატივცემულ სტატისტიკოსს დიდხანს და ამაოდ მოუწევს „მენგრელსკი კრაიდან“ არ გაგზავნილი ინფორმაციის ლოდინი.

**ჯ. არქანია.**

---

„სასამართლო დარბაზიდან“

## არ დაინდო

სოფელ ინგირში მცხოვრებმა ოთარ ჩანთას ძე კუტალიამ დანით მძიმედ დაჭრა თანასოფლელი ვაჟა ლატარია. ბოროტების ნასკნელმა მატარებლით მგზავრობისას 200 მანეთი მოპარა...

უნდობლობისა და მტრობის ტალღა აგორდა. გასული წლის ფაქტს წინ უძღოდა „ისტორია“, რომელსაც მოკლედ გაგაცნობთ.

გასული წლის ნოემბრის თვეში ვ. ლატარიამ კრასნოდარის მხარის ქალაქ ტიხორეცკში, თავისი შვილის ქორწილში წაიყვანა ო. კუტალია. მგზავრობის ხარჯები ნაკისრი ჰქონდა ვ. ლატარიას. ტიხორეცკში რომ ჩავიდნენ ლატარიამ აღარ წაიყვანა კუტალია შვილის ქორწილში, მიატოვა რკინიგზის სადგურზე იმ მოტივით, თითქოსდა ამ უკანასკნელმა მატარებლით მგზავრობისას... (cont.)

24 დეკემბერს განაწყენებულმა და მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ო. კუტალიამ არ დაინდო თანასოფლელი—მძიმედ დაჭრა გულ-მკერდის არეში.

ახლახან ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლომ ნ. არონიას თავმჯდომარეობით განიხილა აღნიშნული საქმე და ოთარ კუტალიას მიუსაჯა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

---

## განცხადებები

### ყურადღება!

რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე მოქმედებს კოოპერატივი —„ჯანმრთელობა— 89“-ის სამკურნალო მცენარეების ხარისხის რეალიზაციო ფილიალი №1.

ფილიალი რეალიზაციას უწევს სხვადასხვა რესპუბლიკიდან ხელშეკრულებით შემოტანილ სხვადასხვა სახის სამკურნალო მცენარეებს. ამჟამად ფილიალს ხარისხის რეალიზაციოდ გააჩნია თირკმლის ჩაი, რომელიც ეფექტურ შედეგს იძლევა თირკმლის ყოველნაირ დაავადებაზე, ნაღვლის ბუშტისა და საშარდე მილების კენჭოვან დაავადებებზე, ათეროსკლეროზზე, მარილებზე და ა. შ.

აგრეთვე შეგიძლიათ შეიძინოთ „პიხტის“ ზეთი, რომლის გამოყენებასაც რეკომენდაციას აძლევენ აკადემიკოსები: ბურდენკო, რუფანოვი; სმირნოვა; ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ტოკანი და უკრაინის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ტულჩინსკაია. აღნიშნული პრეპარატი გამოიყენება 25 დაავადების სამკურნალოდ. მათ შორის: ღვიძლის, კოლიტის, ენტეროკოლიტის, რადიკულიტის, ოსტეოხონდროზის, ასთმის, სტენოკარდიის, ფსორიაზის, სველი ეგზემის სხვა დაავადებათა სამკურნალოდ. ასევე შეგიძლიათ სხვადასხვა სახის სამკურნალო ბალახეული მცენარეების შეძენა.

ფილიალი იმუშავებს 10 საათიდან 17 საათამდე. გამოსასვლელი დღე ორშაბათი.

**კოოპერატივ „ჯანმრთელობა—89“-ის გამგეობა.**

---

1 და 2 ივნისს საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში ტარდება რესპუბლიკის პედიატრთა საზოგადოების ზონალური კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის ცნობილი პედიატრები, მედიცინის დამსახურებული მოღვაწის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პედიატრთა საზოგადოების თავმჯდომარის, პროფესორ იოსებ კვაჟაძის ხელმძღვანელობით.

2 ივნისს ჩატარდება ღია კარის დღე.

**ზუგდიდის პედიატრთა საზოგადოება.**

---

აღმოსავლეთ საქართველოში (დმანისსა და ბოგდანოვკაში) არაქართველთაგან შესყიდულია ახლებით სახლ-კარი. ისინი უსასყიდლოდ გადაეცემა ნებისმიერ ქართულ ოჯახს, სამუდამო მფლობელობაში. უპირატესობა ენიჭებათ ხელმოკლე და მრავალშვილიან ოჯახებს, ოჯახიდან გამოყოფის მოსურნე ჭაბუკებს, ახალგაზრდა ოჯახებს, და განსაკუთრებით ასთმიანი ავადმყოფის მყოლ ოჯახებს. ამასთან მათ უნარჩუნდებათ მათი კუთვნილი სახლ-კარი და ბინები ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში. მსურველებმა განცხადებები და ოჯახის შემადგენლობის შესახებ ცნობები უნდა წარმოადგინონ ზუგდიდის რეგიონალური სახალხო ფრონტის გამგეობის შტაბ-ბინაში. განცხადებების მიღება იწარმოებს ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა 10 საათიდან 18 საათამდე.

---

## მეგობრის ხსოვნას

... თითქოს იცოდი, თითქოს გრძნობდი ბედისწერის განაჩენს და ცდილობდი მოგესწრო ყველაფერი, ყველას უნაწილებდი სითბოსა და სიყვარულს, რათა კაცური კაცის სახელი დაგეტოვებინა. სადაც კი გამოჩნდებოდი არ შეიძლებოდა, ყველას ყურადღება არ მიექცია შენი კეთილშობილებისათვის, ჭკვიანი, ლოგიკური საუბრისათვის, თავმდაბლობისთვის.

ისე ძალდაუტანებლად, ბუნებრივად ავლენდი შენ კეთილ, მეგობრულ გრძნობებს, რომ შენს გარდაცვალებამდე არ დავფიქრებულვართ თუ როგორი გამორჩეული ღირსებების იყავი.

პროფესიით იურისტს, საქმის ზედმიწევნით მცოდნეს, მორიდებულს, სხვათა პატივმცემელს ადამიანებთან ურთიერთობის გამორჩეული უნარი გქონდა. ზრდილობით, სულის სიწმინდით



გამოირჩეოდი, ასევე წმინდად გიყვარდა საქართველო. მის ყოველ გასაჭირს სულის ტკივილამდე განიცდიდი.

ზუსტად ასეთი, ჭეშმარიტად ადამიანური თვისებებით აღსავსე დააკლდი საწარმოო გაერთიანება „საქქალაქმრეწვის“ კოლექტივს, სადაც ხუთიოდე წელი იმუშავე, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ყველა მოგეხიბლა ინტელიგენტობით, განათლებით, შენეული მსჯელობით.

დიდი ტკივილი დაგვიტოვე მეგობარო, ერთი ნუგეში ის არის, რომ შენი ამაღლებული სული კვლავაც ჩვენს გვერდით ტრიალებს და კვლავაც მოგვცემს ზნეობის საუკეთესო მაგალითებს.

სიკვდილის შემდეგ დარჩენილი კარგი სახელი იგივე სიცოცხლის გაგრძელებაა, ამბობენ. ეს მართლაც ასეა, ცხოვრება მაინც გრძელდება მოგონებებით. დღე ერთია და ასჯერ გვიგონებთ: ჩვენი ზაურ ქადარია ასე გააკეთებდა, ასე უყვარდა... სანამ ცოცხლები ვართ ასე იქნება.

**მეგობრების ჯგუფი.**

---

რედაქტორი
**აკ. ჭანტურია.**

---

შვილი ლამარა. რძლები: ინეზა ქირია, ია ჩხეტია, დომი გრიგოლია, მარია, შურა არახამიები, სიძეები დათო ცელაძე, მალაქია თოდუა, შვილიშვილები: ლადო, ცირა, მაია გრიგოლიები, ია, გია ცელაძეები, ძმისწულები: მარგო. თინიკო. ციალა. ციური. ჯულიეტა. ეთერ. ჯუმბერი. ველოდი არახამიები. დისწულები: შაქრო. ტიტე თოდუები, მაზლიშვილები: ნელი. მერი. ლილი. ციური. მიმოზა, ფლორა. ნოდარი. გურამი, ჯანიკო გრიგოლიები ოჯახებით იუწყებიან

**ლიდა იოსების ასულ არახამია-გრიგოლიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 მაისს, 1 ივნისს. დაკრძალვა 2 ივნისს სოფელ ჭითაწყარში.

---

მეუღლე ნანული, შვილები: თეა, სოფიკო, სიდედრი ნურა, სიმამრი სევერიანე, ცოლისძმები: თენგიზი, რევაზი ფარულავები, ძმისშვილები: ციალა, ლონდა, ნუგზარი. რამინი შამუგიები. რძლები: მარო. დოდო. როზა, თამარი. მაია. ბიძაშვილები: ციალა, ნათელა, ვანიჩკა, ვასო, პოჩია. გურამი. ზაური ნაყოფიები. ბიცოლები: ვალია, ნაზია. ქუნა. დალი. მამიდა მარო ნარსია. ბიძები ტარიელი. [illegible] ფარულავები ოჯახებით იუწყებიან

**ვენია ავთანდილის ძე ნაყოფიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 მაისს, 1, 2 ივნისს. დაკრძალვა 3 ივნისს. გამოსვენება 18 საათზე, გიორგი ჭყონდიდელის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 73-დან.

---

შვილი პეტრე. რძალი ლუიზა. შვილიშვილები: თინათინი. დავითი იზორიები. და ზინა. ძმა გივი. დისშვილები აჩიკო კორძაძე. ბადრი. კლარა გუმბარიძეები, ხელი ყიფიანი, ძმისშვილები: მადონა კილურაძე. მავრა შუბლაძე, მარინა ბაკურაძე. მურმანი, სერგო, მამული მამფორიები. მულები: ვერა წითაშვილი. რაისა გახარია, რძლები: ბროლისა იზორია. ოლია მამფორია, მძახლები: შალვა წითაშვილი, თამარა შეროზია, ზიძაშვილები. მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

**თალიკო სერგოს ასულ მამფორია-იზორიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 მაისს. 1 ივნისს. გამოსვენება 2 ივნისს ინგირის ჩაის მეურნეობიდან. დაკრძალვა სოფ. დიდინეძში.

---

დედა როზა. მამა იპოლიტე. მეუღლე ირა. შვილი ინგა. ძმები: გიზო. ვახტანგი. რძალი აზა. ბებია რაისა. მამიდა ჟურა. ბიძები: ანზორი. ზურაბი ნარსიები. ბიცოლები: ლუიზა. ნანი. მამიდაშვილები: ჟურვალი. ემირი. სვეტა პაჭკორიეპი, ბიძაშვილები: ლიმა. ლალი. ინგა. პაატა ნარსიები იუწყებიან

**ჯონი იპოლიტეს ძე რიგვავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 მაისს. 1, 2 ივნისს. დაკრძალვა 3 ივნისს. გამოსვენება ზუგდიდი, გურამიშვილის ქუჩა 22 18 საათზე.

---

მეუღლე ისაკი, შვილები: ციალა. ვალერი. რძლები ეკა ბარამია. მარუსია ხარჩილავა, ოლია ჯგუნჯგია. შვილიშვილები: სოფიკო. ანა. ძმა ვარლამი ხარჩილავა. დები: ლიზა. ტიტი. ბუცა. ქაქუ ხარჩილავები, მული პისტი კუკავა, სიძეები: გრიშა ბეჟანოვი. ბიქტორი თოდუა. ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები. მამიდაშვილები. მაზლიშვილები, მულიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**დინა იორდანეს ასულ ხარჩილავა-ჯგუნჯგიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2 ივნისს. დაკრძალვა 3 ივნისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. გამარჯვების ქ. 6.

---

მეუღლე თალიკო. შვილები: მამუკა. მარინა. შვილიშვილი სესილი. ძმები იოსები. მამია არახამიები. და მამული. სიძეები: ალმა შამათავა, რუზგენი ნანავა. ძმისშვილები: გივი. ენვერი. გურამი, რეზო. გურამი. გერონტი, ჟუჟუნა. ლილი. თამარი. მანანა არახამიები. დისშვილები: ნანული. ბონდო. სოსო. ფირუზა შამათავები. ცოლისძმა ვასო. ვალოდია გვარამიები. რეზო. თემური შეროზიები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**ამირანი ძაკას ძე არახამიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 მაისს. დაკრძალვა 3 ივნისს. რუხში (ნაწულუკუ) გამოსვენება გამარჯვების 11.

---

ოდიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომი და კოლმეურნეობის გამგეობა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი

**იურა ექვთიმეს ძე სართანია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის იურიდიული კონსულტაციები, სასამართლო - პროკურატურის მუშაკები მწუხარებით იუწყებიან თანამშრომლის

**ლუიზა კირილეს ასულ თოლორაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ვარდიშა. შვილები: თემური. დოდო. შვილიშვილები: ზვიადი. ზურაბი. ზიტა ჩემიები. თამრიკო. თეა. ლონდა კალანდიები. რძალი ნატო ჯანჯღავა, სიძე დათო კალანდია. ცოლისდა ლოლა ბებია. რძლები: ზაირა. ციცო, მანანა. ნათელა. ბიძაშვილები: ნოდარი. ჟუჟუნა, ნუგზარი, ანზორი. დისშვილები: კატუშა, ფოთოლა, ნელი. მიმოზა. ილიონი. ავრორა ბებიები, დარეჯანი კვირტია. მზახლები: შუშანიკა. ვალოდია კალანდიები, როზა ჯანჯღავა, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ვალოდია გრიგოლის ძე ჩემიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2 ივნისს. დაკრძალვა 3 ივნისს სოფ. ქვალთუაში.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის—2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, ს[illegible]ლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, რადიორედაქციის —2-17-06

საქ. სსრ გამსახკომის ზუგდიდის სტამბა, [illegible] ოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. №2723